# Zoma Descaler

ნალექების მოსაშორებელი საშუალება პერიოდული გამოყენებისთვის

**აღწერა: Zoma descaler** – არის კირქვის მოსაშორებელი გამწმენდი მჟავა სამზარეულოს ტექნიკისთვის, ჭურჭლისთვის და ჭურჭლის სარეცხი მანქანებისათვის.

**ძირითადი მახასიათებლები:**

**Zoma descaler** – არის კირქვის მოსაშორებელი გამწმენდი მჟავა სამზარეულოს მოწყობილობებისთვის, ჭურჭლისთვის და ჭურჭლის სარეცხი მანქანებისათვის, ქვაბის ფორმის გასაცხელებელისათვის, ორთქლის ქვაბებისთვის, ორთქლსახარშებისთვის, ჩაიდანებისთვის, ყავადანებისათვის და ა.შ. არაორგანული მჟავებისა და არაიონური სურფაქტანტების კომბინაცია ყველა ტიპის ზედაპირების ეფექტურ გაწმენდას უზრუნველყოფს. ნივთიერება კანის მიმართ არ არის კოროზიული.

**დადებითი მხარეები:**

- ეფექტურად აშორებს კირქვას
- ამომყვანი ოქსიდის თხელი ფენა მკრთალი ლითონის ზედაპირებს ბზინვარებას ანიჭებს
- არაკოროზიული ნივთიერების გამო, მისი გამოყენება საფრთხეს არ წარმოადგენს.

**გამოყენების წესები:**

1. გამოიყენეთ კონცენტრაცია 50-100მლ 1 ლ თბილ წყალზე (5%-10%) მცირე ნალექის შემთხვევაში.
2. გამოიყენეთ კონცენტრაცია 100-500მლ 1 ლ თბილ წყალზე (10%-50%) უხვი ნალექის შემთხვევაში.

3. აავსეთ მოწყობილობა ან ჩაალბეთ ხსნარში , გააჩერეთ იქამდე სანამ ნალექი არ მოშორდება.
4. ძნელადმოსაშორებელი ნალექის შემთხვევაში შესაძლებელია გახეხვაც.
5. საგულდაგულოდ გარეცხეთ სუფთა წყლით და დატოვეთ გასაშრობად.

<u>სპრეის გამოყენებისთვის</u>

1. 300-400 მლ/ლ ხსნარი თბილ წყალში (30-40%) მიასხურეთ ზედაპირს ან ტექნიკას. დამოკიდებულია ნალექის ხარისხზე.
2. გააჩერეთ 30 წთ და გაწმინდეთ
3. საგულდაგულოდ გარეცხეთ სუფთა წყლით და დატოვეთ გასაშრობად.

<u>ჭურჭლის სარეცხი მანქანებისათვის</u>

1. გამორთეთ დოზირების სისტემა
2. სუფთა წყლით აავსეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა
3. წყალს დაამატეთ საკმარისი **Zoma descaler** , ისე რომ მომზადდეს ხსნარის 10-20% (100-200მლ/ლ).
4. წრიულად მოურიეთ ხსნარს 10-15 წთ–ის განმავლობაში.
5. დაცალეთ და შეამოწმეთ
6. საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ
7. დაცალეთ და საგულდაგულოდ გარეცხეთ
8. გამოაღეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანის კარები და დატოვეთ გასაშრობად.
9. ჩართეთ დოზირების სისტემა

**ტექნიკური მონაცემები**

**გარეგნული ფორმა:** გამჭვირვალე სითხე
**pH( სუფთა)** 1.2
**შედარებითი სიმკვრივე (20 ºC)** 1.11
ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

**ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე**

პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.
შეინახეთ თავისივე კონტეინერში. მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას
**პროდუქტის თავსებადობა**

მხოლოდ რეკომენდირებულ პირობებში გამოყენებისათვის, **Zoma descaler**–ის გამოყენება მიზანშეწონილია სამზარეულოს ნივთების უმეტეს ნაწილთან., მაგრამ ყურადღებით იყავით სპილენძის, თითბერისა და ალუმინის ნივთებთან გამოყენებისას. (მხოლოდ მცირე ხნით გამოყენებისთვის).